№ 6 10 იანვარი, კვირა. 1866—1882 10 იანვარი, კვირა № 6.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ზე შაური.

თუ ხანგრძლივ მოითხოვს, რედაქცია [illegible] და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება"

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების" რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба".

„დროებაზე" და „ივერიაზე", ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| ერთის წლით: . . . . . . 9 მან. | სამის თვით . . . . . . . . 3 „ |
| ნახევარის წლით . . . . . 5 „ | ერთის თვით . . . . . . . 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

საზაფხულო თეატრში
ორშაბათს, 13 იანვარს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
მ. მ. საფაროვისა
ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
პირველად
ცქრიალა
კომედია—დრამა 5 მოქმედებად.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზ

თფილისი, 9 იანვარი.

ცხვრის ფარა რომ მობრუნდება უკანანი წინ მოექცევიან და წინანი უკანა. უკანანი, ჩვეულებრივ, დასუსტებულს, დაკოჭლებულს და საზოგადოთ სნეულს ნაწილს შეადგენენ მთელის ფარისას ცხვარში. სწორეთ ესრეთვე ნაწილს შეადგენდა სომხობა უკანასკნელ საუკუნოების დროს კავკასიის ერთა შორის. იგი, მოკლებული პოლიტიკურს დამოუკიდებლობას და ზნეობრივს თვითებას, განბნეული და გაფანტული შესახიზნავად სხვა-და-სხვა სახელმწიფოების და სამეფოების მიწა-წყალზე, სულ ბოლოს დროს შეიქმნა იმ ნაირი ხელობის მიმდევარიც, რომელიც სასიკეთო სულის თვისებებს, არ უნერგავს კაცს გულში.

უკანასკნელს დროს აქა-იქ შეხიზნული სომხობა, მიმდევარი ვაჭრობისა, წარმოადგენდა არა მავნებელს ხელოსნების და წვრილ ვაჭართა წოდებას საქართველოში. თვით ქართველთ მეფეები, განთქმულნი პურადობით და გულ-კეთილობის სიუხვით, სიხარულით იღებდნენ იმათ, თავიანთ სამეფოში, როგორც სასარგებლო ხელოსნებს წვრილს და ვაჭრებს. მაგრამ განვლო ჟამმა. სტუმრათ მიღებულთ მასპინძლობა მოინდომეს. მეცხრამეტე საუკუნის კულტურული განთვითება ნიმოეფინა რუსეთის მხრივ კავკასიასაც, ვაჭრობა სხვა ვზაზედ დადგა, ეკონომიური ბურჯნი შეირყნენ და გამეფდა სხვა ფრივ საფუძველზედ აგებულს ეკონომიურს სასახლეში სხვა ღმერთი, სხვა ხატი და სხვა სჯული—კაპიტალური წარმოება და ფული.

ფულისა და კაპიტალის წარმომადგენლებს მიეცათ არა ჩვეულებრივი პატივი. . . . . . ურიაც კი თავის ფულის გამოისობით შეიქმნა გაჭირვების ტალკვესად. საქართველოს ძრიელს კულტურულს ძალას, შეიქმნა მონად ფულის წარმომადგენლებისა. დაცემულთ აიწიეს მაღლა თავი. მათივე მდგომარეობაც, . . . . . . . აგებულს სხვა პოლიტიკური წყობილებისათვის, ეწეოდა მათ.

თვით ქართველობა კი იმდენად გულ-უბრყვილი და დანდობილი იყო თავის მეზობლებზე და მმართველებად მოწვეულს ტომზედ, რომ ფიქრათაც არ იღლიბდა თავის საშიშარს მდგომარეობას, . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ოღნავ გავმარტოთ ჩვენი აზრი. მეთვრამეტე საუკუნეში კავკასია წარმოადგენდა შემდეგს სურათს: ერთის მხრით იყო ქართველთ ერი, მართალია, ქრისტიანობის მრისხანე მტრებისაგან შეწუხებული და ილაჯ-გაწყვეტილი, მაგრამ მედგრად მებრძოლი მათ წინააღმდეგ, როგორც სჯულის, ისე დამოუკიდებლობის, თვითების დასაცველად, მეორეს მრით—წვრილი ერები და ელნი მომთაბარე ტომთა და ნახევრობით ველურთა: თათართა, კავკასიაში დარჩენილ მპარსების და ოსმალების ნაშთთა, ლეკთა, ჩერქეზთა და-სხვა-და-სხვა მთიულთა. ყოველ ამ წვრილს ელებს ჰყავდათ მოთავეედ ხანები, ბეგები, იმამები ბელადები და სხვ. და სხვ.

ამ ერებს შორის სომხობა სრულებით არ იყო შეკუმშული და ერთს ალაგს დასახლებული და თითქმის ამისათვის იყო სრულიად ძალას მოკლებული.

ხოლო საქართველო, რაც უნდა დაუძლურებული და გახრწნილი ყო-

«დროების» ფელეტონი, 10 იანვარი.

### მამის მკვლელი

(მოთხრობა)

იქნებოდა დილის თერთმეტი საათი, როდესაც ხევის ერთს სოფელში, კერას პირს ისხდენ ორი კაცი და ერთი დედა-კაცი.

ერთი ამათგანი ონისე ზელიაშვილი გამოქნილის და მკაცრის გამქვრეტელობით ბანდულებს ამაგრებდა.

იმისი ცოლი, მართა, იქვე კერასთან ჩამჯდარიყო, ართამდა საჩოხე მატყლს და შესცქეროდა ქვაბს, რომელიც ცეცხლზედ ჩუხჩუხებდა.

ონისეს ძმას, მთხოვარა გლახას, როგორც ყველანი ეძახდნენ, ბევრით მოხუცებულს თავის ძმაზედ, ფანდური ეჭირა ხელში და დალონებულად, შეწუხებულის ხ·ით დამღეროდა ერთს იმ სიმღერებთაგანს, რომელიც მთაში საზოგადოთ შემოღებული არის.

როგორც ხმაში, ისე პირისახეზედ, მთხოვარა გლახას ეტყობოდა, რომ ბევრი გულსათუთქი წუთები და მღელვარება გამოევლო, რომელთაც შეუბრალებლად დაემჩნიათ იმისი პირისახე, რომელიც როდისღაც მშვენებით სრული, ეხლა წარმოადგენდა რაღაცა უსიამოვნო შემაწუხებელს სურათს.

უცნაურად დაფლეთილი და მასუკან სხვა-და-სხვა ფერის ნაკუწები დაკონკებული ფარაჯა შეადგენდა იმის ტანთსაცმელს, რომელსაც უნდა დაეფარა იმის დაუძლურებული სხეული და სიბერისგან ჩავარდნილი გული სიცივისგან და ავდრისაგან.

გლახამ ჩაჰკრა ფანდურსა და დასძახა:

„როსტომ თქვა მიწა რბილია,
სიტყვას მით უნდა რბილობა,
ვაჟ-კაცს რომ გაუჭირდების
მაშინის უნდა ცდილობა."

—

„როსტომ თქვა, ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა,
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დალონებასა!"

— რაია, ღვთის მადლსა, სულ მაგის ჩხარა-ჩხური? გააწყვეტინა მოთმინებიდგან გამოსულმა ონისემ.

მთხოარა გლახამ ამოიოხრა და გადაზდო ფანდური იქით.

— ახლა წახვალ ისევა და უფალმა იცის კიდევ გნახამთ როდისმე, თუ არა; ვინ იცის სად მშიერი ივლი და სად მაძღარი?..

— ეჰ, ჰე, ჰე, ჩემო ძმავ! მწუხარებით წამოიძახა მთხოარა გლახამ და ამოიოხრა.—რა ხარჯს გაძლევთ, რომ ცხოთა კარზედ გამიტარებია ჩემი სიცოცხლე?.. შინიდგან არა მიმაქვს-რა, არა გამიყიდნია-რა და არა შემიჭამია-რა... ჩემი სარჩო-საბადებელი თქვენთვის დამილოცია ცხო რაიღა გინდათ... დავდივარ ქვეყანაზედ, ვთხოულობ და კეთილი ხალხის წყალობით ლუკმასა ვჭამ... რაი გაქვსთ ჩემზედ სამდურავი?.. თუ ერთი-ორი გროში გადამრჩენია ისიც თქვენთვის გამომიგზავნია.

— შინ იყო და იუფროსო, ის არა სჯობს? გააწყვეტინა ონისემ.

— ეჰ, ჰე, ჰე! კიდევ ამოიოხრა გლახამ და დაუმატა:—არა ძმაო, არა... შენც კარგად იცი, კაცი თუ გარეთ სიარულს დეეჩვია, ის შინ ველარ გასძლებს... ან რაიღა ხელ-საპყარი ვარ? „დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი გამიხდა ქალარა, შინ ჯალაბთ მოვძულებულვარ გარეთ უნდივართ აღარა". დაუმატა გლახამ და ისევ ჩაჰკიდა თავი.

— რაისათვი ანბობ მაგასა, რაისათვი? აქ იყო, იუფროსო და რიგი მოგვცე, ის არა სჯობს? წარმოსთქვა წყენით მახიამ.

— კარგიაღა, მახიაისი!.. აბა რაღა რიგის მიცემა შეუძლიან ჩემისთანა ავარდნილ-გავარდნილს კაცს?

— რად არა?

— იმად რომ... აღარ გაათავა სიტყვა გლახამ და გაჩუმდა.

— დარჩი, დარჩი!.. ღვთის მადლმა, ჩემი ბაღლები ეგრე შეგინახვენ, როგორც ბატონსა. დაიწყო ისევ უნცროსმა ძმამ.

— შენც კარგად იცი, ონისეისი, დარჩენაც რომ მინდოდეს ვერ დავრჩები... ჩუმად მოვსულვარ ჩემ ქალას სანახავად... გულმა ველარ გასძლო

ფილიყო მისი საზოგადობრივი ცხოვრების აგებულება, წარმოადგენდა თვითმდგომარე სამეფოს. მისი ხალხი ერთ-მორწმუნე და ერთ-ენოვანი წარმოადგენდა შეკუმშულს ეროვნობით ჯგუფს, რომლის კულტურული ძალა და გავლენა მთელს კავკასიაში არ ვიტყვი ძლიერი, გარნა საკმაოდ განვრცელებული იყო. ერევანი და განჯა მოხარკე იყო საქართველოს სამეფოსი, მარტო ერევანი აძლევდა მას ყოველ-წლიურს ხარკს 120,000 მანეთამდის. შამშადილის ხანი უპირველესი და უმტკიცესი მეგობარი ირაკლი მეფისა, იყო მოთავე მთლად ქართველობისა და ალა მაჰმად-ხანი, ორჯერ იერიშით მისული მის სახანო ქალაქს შუშაზედ, იძულებული იყო ორჯერვე უკუქცეულიყო. მან ვერაფრით ვერ შეარყია შამშადილის ხანის მეგობრობა ირაკლისადმი.

ლეკნი და მთიულნი, ვთქვათ, ძლიერნიც იყვნენ, მაგრამ მაინც მათთვის შეუძლებელი იყო რაიმე პოლიტიკური წყობილების შემუშავება მთელი კავკასიისათვის. . . .

. . . . . . . .

## დღიური

სოლოლაკზედ, ბ. ბ—ვის სახლში ამ დღეებში ერთი შესანიშნი ქურდობა მოხდა. ამ სახლობას ჰყოლოდა ერთი ბიჭი, რომელიც გულმოდგინედ ექცეოდა თავის მოვალეობას. ბოლოს ხან ქათამი დეეკარგათ, ხან ყველი, ხან კოვზი და ბოლოს თითონ მსახურიც დაიკარგა. სახლობა ეჭვში შევიდა, მოათვალიერა თავისი სახლი, მაგრამ გარდა მცირედისა ყველა თავის ალაგას იდგა.

ბოლოს მივიდნენ საოჯახო რკინის ყუთთან, რომელშიაც ეწყოთ ნივთეულობა. ყუთი ხელ უხლებელი, დაკეტილი ისევ ისე იყო, როგორც პატრონებს დეედგა, მაგრამ, როდესაც ყუთი გაალეს ნახეს რომ მცბიერ მოსამსახურეს ძირი გამოეგდო ამ ყუთისთვის და ყველაფერი რაცრამ შიგ იყო გაულაგებია.

* * *

გამოვიდა პირველი ნაწილი თავადის რაფიელ ერისთავის თხზულებათა. ამ წიგნში გამომცემელთ (ბატ. კალანდაძეს და დრევიჩს) დაუბეჭდავთ ყველა ლექსები ჩვენის ნიჭიერის პოეტისა. შემდეგს ნაწილებში, რომელთაც გვპირდებიან გამომცემლები დაიბეჭდება სცენები, კომედიები და პროზა.

წიგნს აქვს ავტორის სურათი; გამოცემა ლაზათიანია და ღირს ერთი მანეთი.

* * *

გამოვიდა ოკტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის წიგნი „იმედისა", რომლის შინაარსიც არის შემდეგი:

„ტვინ-წართმეული კაცის მოგზაურობა" (წერილი პირველი) — ქ—ნე მაჭავარიანისა. „მოშაირესადმი" (ლექსი)—კოლხიდელისა. „ბლეხი" (ლექსი)—ალ. მირიანაშვილისა. *** (ლექსი)—დ. ანტონიძისა. „ბატონი და ფარეში" (ნამდვილი ამბავი იმერეთის წარსული ცხოვრებიდგან) — იაგორ ანდღულაძისა. „თფილისის გიმნაზიის 50 წლის იუბილეი"—ივ. ქერესელიძისა. „როსკიპი" (ლექსი გადმოღებული რუსულიდგან) — პარდ. კანისა. „შიკრიკი"—გემისა. „მამულის შვილი"—სტ. ჭრელაშვილისა. „ფეშქაში ჩვენ „ბატონებს" — კოტოშისა. *** (ლექსი) — უულის-კარელისა. „ზუგდიდის „კიდევ-ვიტყვის" კორრესპონდენციის გამო"—ალექსანდრე წერეთლისა. „მიმართვა აპოლლონისა პოეტებისადმი (ლექსი გადმოღებული რუსულიდგან)—თეოფილე კანდელაკისა. „წერილი რედაქტორთან" (კავთისხევიდგან). „რედაქციისაგან საყოველთაო საყურადღებოთ". „განცხადება".

* * *

**ქუთაისი.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ იქ დაარსებულა სამუდამო ტრუპა თავ. აკაკი წერეთლის თაოსნობით.

რასაკვირველია, როგორც ახლად მოგროვებულს ხალხს, ახლად გამოსულს დრამატიულ ასპარეზზედ, იმათ ჯერ-ჯერობით საზოგადოებისაგან ბევრი ვერ მოეთხოვება, მაგრამ იმედი არის თ. აკაკი წერეთლისაგან, რომ ის ყოველს ღონის-ძიებას მოიხმარებს მოთამაშეთ განსავითარებლად და ამ ახალი დასაწყისის მაგარს საძირკველზედ დასაყენებლად. არც ის არის საეჭო, რომ ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობით ხელს გაუშვერს ამ ახალს საქმეს, რადგანაც თითონ საზოგადოებას ძალიან კარგათ ესმის საზოგადოთ თიატრის მნიშვნელობა ყველასთვის და ჩვენი ხალხისთვის განსაკუთრებით.

საზოგადოდ ქალების პერსონალს უფრო აქებენ ამ ახლად-მოგროვებულს დასში, სანამ კაცებისას, მაგრამ, უეჭველია, ახალ-ახალი პირნი მიემატებიან და თან-და-თან თავს გამოიჩენენ ახალი, ნიჭიერი მოთამაშენი, რომლითაც იმერეთი ისე მდიდარია. იმერეთმა მოგვცა ისეთი ნიჭიერი მოთამაშენი, როგორიც არის ბ. აბაშიძე, ბ. მესხი და მაშასადამე იმედია, რომ იმათი სამშობლო კიდევ გამოგვიჩენს ამ გვარს არტისტებს.

ჩვენ შეგვიძლიან სიხარულით მივესალმნეთ ქუთაისის თეატრის დასს, როგორც ერთს სახალხო, სასარგებლოს და გონივრულად დროს გამატარებელს დასაწყისს. საკვირველია, რომ ისეთს ხალხს, როგორიც იმერლები არიან, აქამდისინ თავის დედა ქალაქში არა ჰყვანდესთ გამართული თავისი საკუთარი დრამატიული დასი. თითონ აქტიორ-აქტრისების თამაშობაზედ და პიესების ამორჩევაზედ ჩვენ გვექნება ლაპარაკი, ეხლა კი ვიტყვით, რომ ცუდი არ იქნებოდა თფილისის დრამატიულ საზოგადოებას მიექცია ყურადღება ქუთაისის ტრუპპისთვის და რომელიმე დამოკიდებულება გაეჩინათ თფილისის და ქუთაისის არტისტებთ შორის.

* * *

ახალ-სენაკიდამ გვწერენ რომ იქ სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა ადგილობრივ ნორმალურის სასწავლებელის სასარგებლოთ.

ამ წარმოდგენიდამ

| | |
|---|---|
| შამოვიდა . . . . | 113 მ. 50 კ. |
| დაიხარჯა: მუზიკის ქირა | 40 მ. — |
| სახლის ქირა. . . . | 10 მ. 30 კ |
| მუშების ქირა . . . | 5 მ. 80 კ. |
| დეკორაციისთვის . . | 6 მ. — |
| ტელეგრამმებისთვის. . | 1 მ. 40 კ. |
| სულ დაიხარჯა: . . | 63 მ. 60 კ. |
| დარჩა წმინდა შამოსავალი. . . . . . | 50 მ. — |

ეს ფულები გარდაეცა ზემოაღნიშნულ სასწავლებელს.

ბ. ღომინაძე.

## რუსეთი

(გაზეთებიდგან)

გაზეთი „ახალი დროება" გვაცნობებს, რომ საჩივრის და—თხოვნით კამისიას მიენდობა გარჩევა ის საქმეებშიც, ცოლ-ქრმობიდამ გაყრისა, რომელიც იყო შეტანილი, ეხლა გაუქმებულს,

---

მეტი უნახაობა, და ახლა ისევ ჩუმად უნდა გავიპარო... მე არა მინდა-რა, ყველა ღმერთმა თქვენ მოგახმაროსთ, ოღონდაც ჩემს ქალას მოუარეთ, უპატრონეთ და გაათხოვეთ.

— აბა უფალს არ მოეტყუება, შენი ქალაი ჩემს შვილებს მირჩევნია, უპასუხა მახიამ.

— ერთი იმას გეხვეწებით, ისეთს კაცზედ-კი გაათხოვეთ, რომელიც გემრიელ ლუკმას შეაჭმევს... „ბორსა" და სიმდიდრეს ნუ გამოუდგებით... ბლეხი ხალხი შრომისათვისა ვართ გაჩენილი... ოღონდ ერთურთი უყვარდესთ და ცხო არა უნდათ-რა... მუშაობა ქალისთვის ძნელი არაა, თუ ჯალაბობაში მშვიდობიანობა ექნება.

— ღმერთი იყოს შენი თავდები, უპასუხა ონისემ, რომელსაც ცრემლები მოერია თვალებში.

— შენ სასძოთ თუ არვინა გყავს არჩეული? ჰკითხა მახიამ.

— მე ამოდენი ხანია, აქაური ღრუბელიც არ დამინახამს და ვინ მეყოლება ამორჩეული?.. ან რაი ჩემი საქმეა? ქალი თქვენია და თქვენმა სულმა იცის, როგორს პატრონობასაც გაუწევთ.

ჩამოვარდა სიჩუმე, ყველანი რაღაც აღშფოთებასა გრძნობდნენ. მოხუცის მკერდი ძალზედ აღიოდ-ჩადიოდა ჩქარის ქშენისაგან. ეტყობოდა რომ იმის დამწვარი გული ჯერ არ გაქვავებულიყო და კიდევ შეეძლო დუღილი და ბრძოლა.

მართლათაც მეტად ძნელი უნდა ყოფილიყო იმ მოხუცის მდგომარეობა, რომელსაც ცის ქვეშე ერთი ქალის მეტი არა ჰყოლოდა-რა და იმის ბედნიერებაზედ ზრუნვაც კი იძულებული იყო სხვისთვის დაეთმო.

როდესაც გლახამ გული დაიმშვიდა და თავი შეიმაგრა, ისევ წყნარა გააგრძელა თავის საუბარი, თითქოს ანდერძს უგდებდა თავის ძმას და ცდილობდა ყოველი სიტყვა გარკვევით წარმოეთქვა და ჩეეგონებინა იმისთვის.

— მე ერთი, ხალხისაგანაც და ღმერთისაგანაც, მოძულებული კაცი ვარ... ერთი ფეხი სამარეში მიდგა, დღეს თუ ხვალ მოვა სიკვდილის ჟამი და გავქრები... ნუნუს, მამის სახლობა თქვენ უნდა გაუწიოთ... მაშ ეცადეთ საქრმოც ეგეთი აურჩიოთ, რომ თქვენი გამოსადეგიც იყოს... თუ თითონ შეუყვარდა ვინმე, ეგ ხომ სულ კარგი და სულ კეთილი! ნუ დაუშლით.

— განაღა ბატარაია ნუნუ, ჩემო ყველავ! ეხლა თითონ უნდა აირჩიოს, თორემ ცხო ვის შეუძლიან? უპასუხა მახიამ.

— თქვენ იცით, თქვენა! ურუდ წამოიძახა გლახამ, წამოავლო გუდას და ჯოხს ხელი და წამოდგა.—აბა ახლა კი წავალ.

ონისე და იმისი ცოლიც წამოდგნენ.

— პატარა შეჭამე მაინც რამე. უთხრა მახიამ.

— სანამ ნუნუც მოვა, დაუმატა ონისემ.

— გიშველათ უფალმა, უპასუხა გლახამ.—არა მინდა-რა,... ნუნუსაც რაიღა მოუცადო, უბრალოთ ცრემლებიღა იქნება... მშვიდობით, ჩემო ძმაო, ჯერ ღმერთს და მერმე თქვენ გაბაროსთ ჩემი ნუნუ... ვინ იცის განახამთ კიდევ თუ არა... მშვიდობით მახიავ, შენ იცი და შენმა დედა-კაცობამ, როგორც უპატრონებ იმ ქალას.

ამ სიტყვებთან ერთად ის გაბრუნდა და წყნარად გადააბიჯა იმ კარის ზღრუბლს, რომლის თავის დანებებაც ისე უძნელდებოდა. ონისე გაჰყვა თანა, მახია კი კარებიდგან გამობრუნდა.

— საღამომდინ მაინც მოიცდიდი? დაიწყო ისევ ონისემ.

— რაიღა გავაკეთო?

არ გიცნონ და...

— რაღას მიცნობენ, ღვთის მადლსა? ხალხს კიდეც გადავავიწყდი.

ამ ლაპარაკით იმათ მიაღწიეს ერთს ხევს, რომელსაც უუროს უძახიან, იქ გამოესალმნენ ერთმანერთს და ონისე გამობრუნდა თავის სახლისაკენ. გლახა კი, რომელიც ღრმა ფიქრმა წაიღო, ჩამოჯდა ქვაზედ.

იმას მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, მოაგონდა თავისი ცოლი, წარსული იმედები, ერთი სიტყვით ყველა ის, რითაჯ-კი ისე ტკბილი ხდება კაცის მწარე სიცოცხლე. მოაგონდა ეს ადგილები, სადაც როდესღაც ცხვარი დაუდიოდა საძოვრად, მოაგონდა

მე სამე განყოფილობის საკუთრივ მათ იმპერატორებითი დიდებულების კანცელარიაში.

—

ხმა არის, რომ დაარსებული კომისია ბ. კახანოვის თავ-მჯდომარეობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი თუ როგორ უნდა შესცვალონ აწმყოს, გუბერნიების და უეზდების ადმინისტრაციის, მდგომარეობა. სხვათაშორის ლაპარაკობენ რომ იმათ აზრათა აქვსთ მიანიჭონ ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთ, გარდა თვით სამართლის უფლებისა, აგრეთვე ადმინისტრატიული უფლება. და თვალ ყურის დაჭერა სასოფლო სუდია მამასახლისების მოქმედებაზედ.

—

გაზეთს „ახალ ამბებს“ გაუგია რომ მომავალი პოლიტიკურის პროცესის განსახილავად გამოწვეულნი არიან 59 მოწამე და 3 ექსპერტი.

—

რუსულ გაზეთებში იწერებიან განსაცვიფრელს თავის გარეგანობით, 20 წლის გლეხი დედიულკინის მოკვლაზედ მოსკოვში, რომელიც ჯერ მოეწამლათ რაღაცა ბანგის მზგავსის წამლით ჩაესვათ სანაში და მიეყვანათ ერთს სახლში, სადაც წაექირებინათ ქამარი ყელში და ისე დეეხრჩოთ.

ამის შემდეგ სამს ამხანაგს, რომელთაც მონაწილეობა მიეღოთ დედიულკინის მოკვლაში, ეს საცოდავი გამოეთრიათ გარეთ და ერთს უწმინდურებით სავსე ორმოში ჩეეგდოთ. დედიულკინის მოკვლა განეზრახათ სამს ამხანაგს, რომელთაც უნდოდათ წეერთვათ მოკლულისთვის ქუდი, ტყავი, წაღები და მეტის-მეტად იაფი ფასის საათი. ერთს ჩუხონელის შემწეობით, რომელიც დამნაშავეებს თავს წარდგომოდა, დეეჭირათ ორი დამნაშავე და ერთი კი გაქცეულა.

სწორეთ გასაშტერებელია ამ გვარად კაცის სიკვდილი, მეორე ისეთი მცირედი რისთვისმე და მაგასთან ისე შეუბრალებლად და საზიზღრად.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**საფრანგეთი.** მას აქეთ, რაც გამბეტამ ფიგაროს იმას რესპუბლიკელები შორის ბევრი მტერი ამოუჩნდა. ყველა გაკვირვებულია მისი პოლიტიკით. ფიქრობენ, რომ გამბეტა მონარხისტებთ შორის ეძებს მომხრეებსაო. ახლა გამბეტამ პალატაში შეიტანა ჰაზრი რომ სენატის უფლება შემცირდეს. სენატში და პალატაში უმრავლესობა რესპუბლიკელები ამ ჟამათ, მაგრამ არა ვინ იცის გამბეტას წინადადება გავა ორსავე პალატაში, თუ არა. თუ ვერ გავიდა იმ შემთხვევაში გამბეტამ მინისტრობას უნდა თავი აანებოს.

—

**გერმანია.** უკანასკნელ გერმანიის პალატის არჩევანში რომ ბისმარკის მოწინაღმდეგეთ გაიმარჯვეს ბერლინში, ეს იციან ჩვენმა მკითხველებმა. ამ არჩევანში სახელმწიფო თანამდებობის კაცებმა მიიღეს მონაწილეობა და რადგანაც ამ თანამდებობის კაცების ჰაზრი ყოველისფერში არ ეთანხმებოდა მმართებლობის ჰაზრს, ეხლა გერმანის იმპერატორმა, ბისმარკის ჩაგონებით გამოსცა ბრძანება, რომ თანამდებობის კაცებმა ყოველთვინ არჩევანში მთავრობის მხარე დაიჭირონ. ამ ბრძანებამ ნემეცებში დიდი ლაპარაკი ასტეხა. ზოგიერთა გაზეთების ჰაზრით, ამ გვარ ბრძანება არის სახელმწიფოს დამცირება; ეტყობა თავადი ბისმარკი თავის თავს ვერა გრძნობს კარგათ, რომ ამ გვარ საშვალების ხმარებას მიჰყო ხელიო.

—

**ავსტრია.** ავსტრია ამ ჟამად ერთს გაჭირებაშია: იმის ახალ პროვინციებში, რომელიც ბერლინის ტრაკტატის ძალით ხვთა იმას, ხალხი აჯანყდა და ავსტრიის მთავრობა იძულებული შეიქნა, რომ ჯარი გაგზავნოს იმ პროვინციების დასამშვიდებლათ.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

## პირუტყვთათვის სამკურნალო

პირუტყვთ მფარველი საზოგადოებისა რიყეზედ, გვრიტიშვილის სახლში.

ავათმყოფი პირუტყვი საქონელი მიიღება დილის 8 იდამ ვიდრე 11 საათამდე, გარდა კვირა უქმებისა და ტაბელის დღებისა,

ი. მურადოვის
წიგნის მაღაზიაში
## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ


ის წუთიც, როდესაც ივანობაზედ მხვეწარი ჩამოდიოდა და პირველად შეჰკრა თვალი იმ ქალს, რომელმაც სწრაფად აუდუღა სისხლი ძარღვებში ეს ყველა წამოუდგა იმის გონებას და მწუხარებით აუვსო გული...

სად განქრა ეს ნეტარება, სად წავიდა?..

ხედამდა , იმედებით და სიცოცხლით სავსე ყმაწვილის მაგიერ, მოხუცებულს, დაუძლურებულს თავის თავს, რომელსაც ბედნიერების მაგივრად, უკანასკნელი წუთებიც-კი სხვათა კარზედ უნდა გაეტარებინა და სიკვდილის ჟამს თავის სახლობის ცრემლიც-კი არა ღირსებოდა...

იმას ჯერ თითქოს რაღამაც ძალზედ მოუჭირა გულზედ, ბოლოს ის გახურდა, ადუღდა ცხლად და მწვავედ წამოვიდა და ყელს მიებჯინა. იმან დაიწყო ყელში ხრიალი და სანამ ვერ დაისვენა, სანამ ცრემლებად არ ჩამოედინა ეს შეგუბებული სულის მღელვარება.

როდესაც გული იჯერა ტირილით, ის წამოდგა დასუსტებული, გახედა თავის სოფელს, ჩაიქნია ხელი და წამოიძახა—აჰუ!.. მუხთალო სოფელო!

გაბრუნდა საჩქაროდ და მთვრალსაეით, ბარბაცით გაემართა ვლადიკავკაზისაკენ...

ონისე თუმცა გამოქნილი კაცი იყო, რომელიც ძმის მოშორებისთვის არც აგრე აიტკიებდა თავს, რადგანაც ძმის წილობა იმისა რჩებოდა, მაგრამ ძმის გამოსალმებას არა მცირედი აღელვა და გული მოულბო. ამიტომაც შევიდა ის ისე დაღონებული თავის სახლში.

— რაი მოგვსვლია? ჰკითხა ცოლმა.

— აბა რაი ვიცი, დაღონებით უპასუხა ონისემ და მოიფშვნიტა ცრემლ მორეული თვალები.

— იტირე ბარემ და რაიღას ელი? დაცინვით უთხრა ცოლმა და ჩამოჯდა ისევ კერას პირს.

— შენ ძმასთან დაშორება იქნება მართლა ადვილი გგონია?.. მართლათაც უფალმა უწყის კიდევ გველირსების ერთურთის ნახვა თუ არა?

— იმას მადლიც მოუვიდა წასვლითა!.. ო, ღვთის მადლმა!.. ჩვენა ვართ ბედ შავნი, რომ რაც გინდა ვქნათ ვერ მოვშორდებით აქაურს მშრალა ქარჯინას.

— ეგ ყველა, ყველა—ის წავიდა და ღმერთმა ხელი მოუმართოს!.. მაგრამ რაი უნდა უყოთ იმ ქალიშვილსა?

— ნუნუსა?.. მთხოვრები გვყავს, მივცეთ და მოვიშოროთ თავიდგან.

ონისემ თავი ჩაჰკიდა და ცოტა ფიქრს შემდეგ წამოიძახა:

— რაი ვქნა, ბიჭი არ მომწონს და ცხოთაშვილის ცოდოში საით ჩავდგე?... თითონ იმ ქალიშვილსაც არ მოსწონს, თავს იკლავს არ გავთხოვდებიო.

— იმან რაიღა იცის, ღვთის მადლსა? ვისაც ჩვენ ვეტყვით იმას უნდა წაჰყვეს.

— მართალია, მაგრამ ნუნუს ცხო უყვარს და...

— რაი უყოთ, რომ ცხო უყვარს? გააწყვეტინა ცოლმა.

ამ დროს გეელო კარები და წყლით სავსე ტაგანა აკიდებული, თექვსმეტჩვიდმეტის წლის ქალი, ტანადი და მოხდენილი წყნარად შემოვიდა ოთახში. წყნარა ჩამოიღო ტაგანა, მოხსნა თოკი და მოუბრუნდა იქ მყოფებს:

— მამაი სადაა?

ამ უბრალო დამშვიდებულმა კითხვამ ისე არია ცოლ-ქმარი, რომ დიდს ხანს პასუხი ვერ მოეხერხებინათ.

— მამაი სადაა? ისევ იმ ხმით გაიმეორა ქალმა და ჩაციებით დაუწყო ყურება მახისას.

— წავიდა, ბოლოს უპასუხა მახიამ.

— წავიდა? რაღაცა მწუხარებით იკითხა ნუნუ და ხელები ჩამოუცვივდა.

იმას აშკარად ეტყობოდა, რომ ეს სიტყვები ლახვრად მოხვდა გულში და იქამდინ ძალა დაატანა, რომ რაოდენიმე ხანი მოუნდა, სანამ გონს მოვიდოდა და ტირილს მოახერხებდა.

— მე-კი მეგონა... წარმოსთქვა იმან, წყნარა დეეშვა იქავ მიწაზედ და დაიწყო ტირილი.

ა. მოხხუბარიძე.

(გაგრძელება).

აასრულებს და გამოგზავნის პირვე-
ლივე წამომავალი ფოშტით. (50—40)

**თავადი ივანე გრიგოლის-ძე ერისთავი** და და მისი **დარია გრიგოლის ასული კნეინა მაჩაბლისა** მწუხარის გულით აუწყებს რა გარდაცვალებასა დედისა თვისის **მარიამ გიორგის ასულის კნეინა ერისთავისა**, სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ ქალაქს გორს განსასვენებლად გვამისა მისისა, ათსა რიცხვს ამა იანვრისას კვირა დღეს 9 საათზედ.

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეიაში
*(Maison de confiance)*

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ — | 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ — | 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ — | 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—80)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ინგლისის მაღაზიაში

თმისამ-ჟუვანი

მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—77)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

პატივი მაქვს გამოუცხადო სუყველა მოვაჭრეებსა, რომ იანვრიდამ უბილეთოდ მოსვლა თფილისში აკრძალულია; ვისაც არ ექნება ბილეთი, დაისჯება; ამისათვის ვთხოვ ყველას ჩემს მოვაჭრეებს, იქონიონ ყოველთვის ბილეთი.
**კომმისსიონერი გ. ი. რატიანი.** (5—4)

ი. და ვ. ჭილაძეთა
წიგნის მაღაზია
**ქუთაისში**
ბულვარის პირდაპირ, სობოროს გვერდით.

რომელსაც წინედ პ. ფ. გერარდის მაღაზია ერქვა, დღეიდამ ჩვენს ხელში გადმოვიდა. ვეცდებით ყოველს ღონის-ძიებას, რომ მაღაზიის საქმე კიდევ უფრო კარგად წავიყვანოთ ყოველ-მხრივ, ვიდრე დღემდის იყო. იმედი გვაქვს პატივცემული საზოგადოება არა თუ არ მოაკლებს თავის ყურადღებას ამ მაღაზიას, რომელიც მუდამ მისს სიამოვნებას ცდილობდა, არამედ უფრო ყურადღებას მოგვაქცევს ამიერ. მაღაზიას აქვს ყველა სასწავლებელთათვის ყოველ-გვარი სახელმძღვანელო და ხელსასყობი.

მრავალი საკითხავი წიგნები ქართული და რუსული, ნოტები და სხვ.
მაღაზია იღებს ხელის-მოწერას ყველა ჟურნალ-გაზეთებზე სარედაქციო ფასით. (5—5)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება**: პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—56)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაგისტრაშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკონას გიარები. (100—63)

ხელის-მოწერა 1882 წლის

**„ივერიაზე"**

**ამ 1882 წელს ჟურნალი „ივერია" გამოდის იმავე სახით და სივრცით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.**

ჟურნალში იქნება სამი განყოფილება: 1) ბელეტრისტიული—რომანები, მოთხრობები, პოემები, წვრილი ლექსები, როგორც ორიგინალურნი, ისე საუკეთესო თხზულებათა თარგმანნი. 2) წერილები ისტორიული, კრიტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სხვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული **„შინაურს მიმოხილვას"**. რედაქცია ყოველის ღონის-ძიებით ეცდება, რომ არავითარი საინტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისა-მებრ ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში იყოლიოს სანდო პირნი ცხოვრებისათვის თვალ-ყურის სადევნელად. გარდა შინაურის მიმოხილვისა, ჟურნალში იქნება აგრეთვე **რუსეთისა და უცხო ქვეყნების მიმოხილვა**—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავზედ წარუდგინოს მკითხველს ყოველივე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. **სამეცნიერო ქრონიკა**—წერილები სხვა-და-სხვა სამეცნიერო და ჩვენის ქვეყნებისათვის საინტერესო საგნებზედ. **თეატრი**—გარჩეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სცენაზედ ნათამაშები პიესები და აგრეთვე აქტიორ-აქტრისების ხელოვნება. **ახალი წიგნები**—ვრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით დაბეჭდილებზედაც, რომელნიც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს შეეხებიან. **სხვა-და-სხვა ამბები**—მეცნიერებისა და ლიტერატურისა.

**წიგნები „ივერიისა"** გამოვა ყოველს თვისა-და-თვის დამდეგს.

**ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.**

ფასი

„ივერიისა" 1882 წლისა (თორმეტი წიგნი) 7 (შვიდი) მანეთი. ვისაც ერთად შემოტანა არა სურს, შეუძლიან ოთხი მანეთი პირველს იანვრამდე შემოიტანოს და სამი მანეთი პირველს მაისამდე.

ჟურნალზედ ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმიდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლებში, № 9 და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში, ალექსანდროვის ბაღთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію журнала „ИВЕРІЯ".** (3—3)

**ისყიდება**

25% ნაკლებ [illegible] ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამერკლი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვაზები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში**. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ *(choke bore) George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—62)

**ისყიდება**

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.
12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.
10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.
10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.
10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.
10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.
5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.
2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.
2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.
2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.
1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.
600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.
300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.
დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—19)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Января 1882 г.* *Типографія С. Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.